



კულტურის სექტორი
მემკვიდრეობის განყოფილება

United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization
United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization

მის აღმატებულებას ქალბატონ
ეკატერინე სირამე-დელონეს

საქართველოს საგანგებო და
სრულუფლებიანი ელჩი,

მუდმივი წარმომადგენელი
UNESCO-ში

UNESCO House

23 ივლისი 2018

Ref.: CLT/HER/WHC/EUR/18/10980

**საგანი: მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის "გელათის მონასტრის ,,
კონსერვაციის მდგომარეობა**

ძვირფასო ელჩო,

სიამოვნებით გადავცემ საქართველოს ხელისუფლებას ICCROM-ის ტექნიკურ მიმოხილვას დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება გზის და გელათის მონასტრის საზღვრებში არსებული მზიდი კონსტრუქციის რეაბილიტაციას (ის. დანართი I).

მიუხედავად იმისა, რომ პროექტში ნათლად ჩანს მონაწილე სახელმწიფოს მზაობა ობიექტთან უსაფრთხო მისასვლელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ICOMOS თავის მიმოხილვაში გთავაზობთ რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნას და რეკომენდაციას.

მადლობას გიხდით თქვენი მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის განხორციელებაში.

პატივისცემით,


(ხელმოწერა)

Mechtild Rossler

მსოფლიო მემკვიდრეობის
ცენტრის დირექტორი

CC: საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია

დანართი I

ICOMOS-ის ტექნიკური მიმოხილვა, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მიერ მიღებულია 2018 წლის 20 ივლისს „გზის და მზიდი კონსტრუქციის რეაბილიტაციის“ პროექტთან დაკავშირებით.

ICOMOS- ის ტექნიკური მიმოხილვა

ობიექტი	გელათის მონასტერი
წევრი ქვეყანა	საქართველო
ობიექტის ID	710bis
ნუსხაში შეტანის თარიღი	1994
კრიტერიუმი	(iv)
პროექტი	„გზის და მზიდი კონსტრუქციის რეაბილიტაცია“

2018 წლის 24 მაისს ICOMOS- მა მიიღო დოკუმენტი სახელწოდებით „გზის და მზიდი კონსტრუქციის რეაბილიტაცია - მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტი გელათის მონასტერი“, რომელიც მონაწილე სახელმწიფომ წარუდგინა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს და სათათბირო ორგანოს გადაეცა განსახილველად.

ICOMOS-მა შეაფასა პროექტი და ქვემოთ წარმოგიდგინთ ანალიზს.

ანალიზი

პირველ რიგში, ICOMOS მიიჩნევს, რომ განლაგების ზოგადი იდეა არქიტექტურული, საინჟინრო და მენეჯმენტის თვალსაზრისით გზის პრობლემური ნაწილისთვის სწორია და ადასტურებს მონაწილე სახელმწიფოს უშუალო დაინტერესებას გელათის მონასტერთან უსაფრთხო მისასვლელის უზრუნველყოფის საქმეში, ასევე განსაკუთრებულ სენსიტიურობას პროექტისადმი და ადგილზე აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტებისადმი.

- 1) გზის მოპირდაპირე მხარეს შენობის არსებობა, რომელიც მონასტრის ვიზიტორებისთვის დამხმარე ფუნქციებისთვის არის განკუთვნილი, ხელს შეუწყობს იმას, რომ შემოთავაზებული არქეოლოგიური ექსპოზიციის ობიექტს დამთვალიერებლები ეყოლება. სავარაუდოდ ტროტუარის ნაშთები ისტორიული გზის ნაწილს შეადგენს, რომელიც წარსულში მონასტრისკენ მიუყვებოდა.
- 2) დასავლეთით მდებარე ამაღლება, როგორც გეგმებში ჩანს, შესაბამისობაშია მონასტრის ისტორიულ გარემოსთან. ანუ, დახურული არქეოლოგიური ობიექტის ფასადისთვის შემოთავაზებული ქვის საფარი ტრადიციული ქვის კედლების შესაბამისი იქნება, რომლებიც ფოტოებზეა წარმოდგენილი, თუმცა, ამავე დროს, ფასადის ნაწილი შეიძლება ბუნებრივმა მცენარეებმა დაფაროს.
- 3) ნახაზებზე ნაჩვენებია მხოლოდ ზედაპირის კონსტრუქცია ზედაპირული წყლის მოსაშორებლად, რომელიც არსებული შენობის უკანა ნაწილამდე აღწევს გზის მოპირდაპირე მხარეს. გეგმებზე არ არის გასაგები (არც მოკლე ტექნიკური აღწერილობა არსებობს) თუ რა ღონისძიებებია გათვალისწინებული იმ მოვლენის გამოსასწორებლად, რომელიც გზის დაზიანების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. არ არის ახსნილი სათანადო ღონისძიებები მიწისქვეშა წყლის შეგროვებისა და მოშორებისთვის, რომელიც მთის ფერდობიდან ჩამოდის და აშკარად დიდ ზემოქმედებას ახდენს მიწისქვეშა საექსპოზიციო სივრცის უკანა კედელზე (კედელი B

კვეთის გეგმაზე), ალბათ, გარკვეული სახის მიწისქვეშა სადრენაჟო სისტემაა საჭიროა?

- 4) გეგმებზე ორი კიბეა, რომლითაც ვიზიტორები გზის დონიდან არქეოლოგიური ექსპოზიციის დონემდე (± 0.00 მ) გადაადგილდებიან. ჯერ ერთი, კიბეები გეგმებში სხვადასხვა მიმართულებით არის დაპროექტებული. თუმცა, ICOMOS-ის მთავარი შენიშვნა ეხება იმას, რომ გაუგებარია, როგორ მოხდება ღია კიბეების დაცვა წვიმაში. ნახაზები ამ ინფორმაციას არ იძლევა. თუ საჭირო იქნება რაიმე სახის დამცავი თავშესაფარის მოწყობა კიბის ღია ადგილებზე, ისინი ნაჩვენები უნდა იყოს გეგმებზე, რადგან ასეთი საფარები მნიშვნელოვნად და ესთეტიურად შეცვლის ზოგადად კონსტრუქციის დასავლეთის მხარეს ამაღლებას (მითუმეტეს, თუ ისინი რკინაბეტონის იქნება).
- 5) არ არის ნათელი, თუ როგორ მოხდება არქეოლოგიური ექსპოზიციის სივრცის დაცვა ღამის საათებში. განთავსდება თუ არა კარები კიბეების ქვედა ნაწილში? თუ არა, მაშინ მეორე ვარიანტია რომ თითოეული კიბის სახურავმა დახურული სივრცე შექმნას კართად ერთად; ამ შემთხვევაში მთელი კონსტრუქცია უფრო მძიმე იქნება მთავარ ფასადზე (რაც რედიზაინს მოითხოვს ამ მიშენებებთან ერთად: იხ. შემოთავაზებული გადაწყვეტები კიბის სახურავისთვის თანდართულ გეგმაზე A).
- 6) სასურველია - არქიტექტურული თვალსაზრისით - დამატებითი ვერტიკალური ვიწრო ფანჯრების შექმნა ძირითადი დასავლეთის ფასადის კედლის მზიდი სვეტების ორივე მხარეს (იხ. შემოთავაზებული გადაწყვეტები თანდართულ გეგმაზე B). ამ ვიწრო ფანჯრების დამატება უზრუნველყოფს შემდეგს:
 - მიწისქვეშა არქეოლოგიური ექსპოზიციის სივრცეში უფრო მეტი ბუნებრივი სინათლე იქნება (დაგეგმილ ჰორიზონტალურ ღიობებთან ერთად);
 - საშუალებას მისცემს სტუმრებს სივრცის შიგნიდან იხილონ სოფელზე გაშლილი ძალიან საინტერესო ხედი (ვინაიდან არქეოლოგიური ექსპოზიციის ადგილის დონე გაცილებით მაღალია სოფლის დონეზე);
 - მთლიანად შეიცვალება არქეოლოგიური ექსპოზიციის ტერიტორიის „ჩაკეტილი მიწისქვეშა სივრცის“ ხასიათი, აღარ იქნება „ბუნკერის“ შეგრძნება, და პირიქით, ცოცხალი კავშირი იქნება შიდა სივრცესა და გარე ბუნებას შორის, რომლის ნაწილსაც წარსულში თავად არქეოლოგიური ობიექტი შეადგენდა.

არქეოლოგიური სივრცის დონის დასავლეთის კედელი (± 0.00 მ) არ წარმოადგენს მზიდ კედელს (დასავლეთის მზიდი მოგრძო კედელი უფრო დაბალ დონეზეა აშენებული -1.40 მ). ამრიგად, შესაძლებელია დამატებითი ვერტიკალური ღიობების გაკეთება და მორფოლოგიურად უფრო საინტერესო დასავლეთის ფასადის შექმნა არქეოლოგიური ექსპოზიციის ადგილისთვის.

ICOMOS რჩება მონაწილე სახელმწიფოს განკარგულებაში შემდგომი განმარტებისათვის ან დახმარებისთვის საჭიროების შემთხვევაში.

ICOMOS, Charenton-le-Pont, ივლისი 2018.

დანართები: გეგმა A - შემოთავაზებული გადაწყვეტები კიზის
სახურავისთვის

გეგმა B - შემოთავაზებული გადაწყვეტები დამატებითი ფანჯრებისთვის

